სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/28

ქ. თბილისი 6 ივნისი 2025

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სტრუქტურული რეორგანიზაციისა და ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის თალიკო ჟვანიას 2025 წლის 05 ივნისის №0000630538 სამსახურებრივი ბარათის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 5 ივნისის სხდომის №10-4 ოქმის, აკადემიური საბჭოს 2025 წლის 6 ივნისის №01-05-04/104 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 6 ივნისის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 6 ივნისის №01-05-04/104 დადგენილება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ;

2. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დებულების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი ამოღებული იქნეს;
3. ცვლილებები აისახოს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საშტატო განრიგში;
4. დადგენილება ძალაში შევიდეს 2025/2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან;
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**